



№ 01-11/ 101

20 ივნისი 2023 წელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ 2023 წლის 19 მაისის №01-11/87 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 4530 -22.05.2023წ.) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის ანგარიში - „ავტომექანიკური ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციურ ღუმელზე მოწყობილი გაფრქვევის მილის პარამეტრების შეცვლის თაობაზე“.

წარმოდგენილ ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების უწყვეტი ავტომატური მონიტორინგის მოწყობილობის - DUSTHUNTER T200 – Max -ს ექსპლუატაციისთვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა უქანგავი გაფრქვევის მილის არსებობა. თუმცა, კომპანია «SENSÖRLER VE İLERİ CİHAZLAR KONTROL A.Ş»-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებისა და მათ წარმომადგენელთან კომუნიკაციის შედეგად დაზუსტდა, რომ მოწყობილობის -DUSTHUNTER T200 – Max -ს ეფექტური ექსპლუატაციისთვის გაფრქვევის მილის ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს და აღნიშნული მოწყობილობები მალაღეფექტურია მეტალურგიული საწარმოებისთვის გათვალისწინებული სტანდარტული ლითონის მილის არსებობის პირობებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ დაზუსტებულ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
2. Shp ფაილები.

ჯამბულატ ჯაყელი
გენერალური დირექტორი





შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“

ავტომექანიკური ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციურ ღუმელზე
მოწყობილი გაფრქვევის მილის პარამეტრების შეცვლის თაობაზე

სკრინინგის ანგარიში

გენერალური დირექტორი:

ჯანბულატ ჯაყელი



2023 წ.

სარჩევი

1	შესავალი.....	4
2	საქმიანობის აღწერა.....	5
2.1	ზოგადი მიმოხილვა:.....	5
2.2	ტექნოლოგიური პროცესების დახასიათება:.....	5
	საყალიბო უბანი.....	7
2.3	ლითონის დამუშავების მექანიკური საამქრო.....	8
3	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი.....	9
4	ელექტრომომარაგება.....	9
5	წყალმომარაგება.....	9
6	ჩამდინარე წყლები.....	10
7	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.....	11
8	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ანგარიში.....	12
8.1	ცვლილებების განხორციელების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებათა ზემოქმედების შეფასება.....	12
8.2	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	27
9	საქმიანობის განხორციელების ადგილის დახასიათება და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.....	29
10	შეფასების კრიტერიუმები.....	30
11	საქმიანობის მახასიათებლები:.....	30
11.1	საქმიანობის მასშტაბი, არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:.....	30
11.1.1	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:.....	31
11.1.2	ნარჩენების წარმოქმნა:.....	31
11.1.3	გარემოს დაბინძურება და ხმაური:.....	31
11.1.4	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი: 32	
11.2	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:.....	33
11.2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან:.....	33
11.2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:.....	34
11.2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:.....	34
11.2.4	დაცულ ტერიტორიებთან:.....	35
11.2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან:.....	35
11.2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან:.....	35

11.3	საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:.....	36
11.3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი:	36
11.3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა:.....	36
12	მოკლე რეზიუმე	36
13	დანართები:	36
13.1	დანართი 1. გაბნევის ანგარიშის შედეგები (გრაფიკული ნაწილი)	37
13.2	დანართი 2. ცხრილი 10. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ძირითადი შედეგები.....	42
13.3	დანართი 3. საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა.....	43
13.4	დანართი 4. საწარმოს გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით	44
13.5	დანართი 5. გაბნევის ანგარიშის ამონაბეჭდი	45
13.6	დანართი 4. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები.....	64
13.7	დანართი 5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.....	66
13.8	დანართი 4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.....	79

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს კუთვნილ, ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩა №88-ში მდებარე საჩამომსხმელო საამქროში არსებული გაფრქვევის მილის პარამეტრების შეცვლის თაობაზე სკრინინგის განაცხადის დანართს.

შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“ საქმიანობას ახორციელებს 2009 წლიდან, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. საქმიანობის განხორციელების პერიოდში, კომპანიის საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლში შეტანილი იქნა არაერთი ცვლილება, კერძოდ: შემცირდა საწარმოო საამქროების რაოდენობა და შესაბამისად კომპანიის მიერ გამოყენებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა და მიწის ფართობი (ნაცვლად 42,7 ჰა ფართობისა, დღეისათვის კომპანიას დაკავებული აქვს 37.7 ჰა მიწის ფართობი).

2019 წლის 20 მაისის N 2-430 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საჩამომსხმელო საწარმოში განხორციელდა ახალი ინდუსტრიული ღუმელის დამონტაჟება, რომლის საპროექტო წარმადობა შეადგენს 2.6 ტ/სთ (ფაქტიური 2 ტ/სთ) და წლის განმავლობაში გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა დაახლოებით 2000 ტონა სხმულს, მათ შორის 1280 ტონა ფოლადის სხმულს და 720 ტონა თუჯის სხმულს.

სადნობი ღუმელი მტვერდამჭერი სისტემით აღჭურვილი არ არის, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი აირების გაწოვა ხდება საამქროში არსებული სავენტილაციო სისტემის მეშვეობით და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 1000 მმ დიამეტრისა და 9 მ სიმაღლის საკვამლე მილის საშუალებით.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს საჩამომსხმელო საამქროში არსებული გაფრქვევის მილის ცვლილებას და 700 მმ დიამეტრისა და 16 მ სიგრძის საკვამლე მილის დამონტაჟებას. მილის დამონტაჟო სამუშაოები შესრულებული იქნება დახურულ სივრცეში.

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

კომპანიის სრული სახელწოდება: შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“

სამართლებრივი ფორმა: შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)

იურიდიული მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №88

ოფისის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №88

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202236794;

ტელ. (ქალაქის): +995 431 266200;

ელ-ფოსტა: info@kamp.ge

დირექტორი: ჯამბულატი ჯაყელი;

საკონტაქტო პირი: ლალი გოგოლაძე;

ტელ: 595 048 658

2 საქმიანობის აღწერა

2.1 ზოგადი მიმოხილვა:

მპს “ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს საწარმოო ობიექტები მდებარეობს ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე და დაკავებული აქვს 37,5 ჰა ფართობი.

მპს “ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს მიმდინარე საქმიანობის სფეროა ლითონების გამოდნობა, ასევე ლითონკონსტრუქციების და დეტალების წარმოება. მის შემადგენლობაში შედის შემდეგი საწარმოო ობიექტები:

1. საჩამოსხმელო საამქრო.
 - სადნობი უბანი;
 - საყალიბო-საჩამოსხმო უბანი;
 - საყალიბო ნარევის მოსამზადებელი უბანი;
 - გამწმენდი უბანი.
2. მექანიკური დამუშავების საამქრო.
 - მძიმე მექანიკური დამუშავების უბანი;
 - მცირე დამუშავების მექანიკური უბანი;
 - საწნეხე და შედუღების უბანი.
3. ელექტრო უბანი და ქვესადგური.

აღსანიშნავია, რომ საჩამოსხმელო საამქრო, მექანიკური დამუშავების საამქრო და ელექტრო უბანი განთავსებულია დახურულ შენობაში და შესაბამისად ღია ცის ქვეშ ტექნოლოგიური პროცესები არ მიმდინარეობს.

საწარმოს ელექტრომომარაგება ხორციელდება საკუთარი ელექტროქვესადგურიდან, ხოლო წყალმომარაგება, როგორც ქ. ქუთაისის ცენტრალური წყალსადენის ქსელიდან, ისე მიწისქვეშა წყლებით, რაზეც კომპანია ფლობს სასარგებო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებს (იხ. დანართი). სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო სანიაღვრე წყლები ყოფილი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საერთო სანიაღვრე კანალიზაციის სისტემაში, რომლითაც ასევე სარგებლობს ავტოქარხნის ტერიტორიაზე მოქმედი სხვა საწარმოებიც.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია, მპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ ტერიტორიაზე არსებულ საჩამოსხმელო საამქროს შენობაში. საამქრო მდებარეობს საწარმოო ზონაში, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ქუთაისი-ხონი-სამტრედიის საავტომობილო გზა (ავტომშენებლის ქუჩა), მდ. ოდასკურა და შემდგომ საცხოვრებელი ზონა, აღმოსავლეთის მხრიდან-სხვა იურიდიული პირების ტერიტორიები და შემდგომ საცხოვრებელი ზონა. ჩრდილოეთით წყალტუბო-ქუთაისის სარკინიგზო მაგისტრალი და შემდგომ საცხოვრებელი ზონა. დასავლეთის მიმართულებით ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე განლაგებულია მოქმედი სხვა იურიდიული პირების საწარმოები.

2.2 ტექნოლოგიური პროცესების დახასიათება:

საჩამოსხმელო საამქროში დამონტაჟებულია შემდეგი სადნობი ღუმელები:

1. „ბოვი“-ს ტიპის თუჯის ერთი სადნობი ღუმელი, წარმადობით 3-ტ/სთ, ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 150 მ³/სთ-ს;
2. ინდუქციური ღუმელი, 150 კგ ტევადობით, 0.04 ტ/სთ წარმადობით;

3. ელექტრორკალური ფოლადსადნობი ღუმელი 1.5 ტ ტევადობით და 0.5 ტ/სთ წარმადობით.
4. ინდუქციური ღუმელი, რომლის საპროექტო წარმადობა შეადგენს 2.6 ტ/სთ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით საწარმოში მუშაობს მხოლოდ ინდუქციური ღუმელი, რომლის წარმადობა შეადგენს 2,6 ტ/სთ. დანარჩენი ღუმელები გაჩერებულია.

საჩამომსხმელო საამქრო შედგება შემდეგი უბნებისაგან:

საკაზმე ეზო - სადაც შემოდის ლითონური და არა ლითონური მასალები კაზმის მოსამზადებლად. აქვე ხდება მათი დამუშავება (დამსხვრევა, დაჭრა) და მიწოდება სადნობ უბანზე.


კაზმის დამზადება ხდება ცალკე ღუმელის მიმდებარედ გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე და შემდგომ ტელფერის საშუალებით იყრება ღუმელში. გამდნარი ლითონი გროვდება საგროველაში და იქიდან პერიოდულად ხდება ლითონის ჩასხმა ციცხვში. ციცხვის გადაადგილება ხორციელდება ხიდური ამწით და მიეწოდება საყალიბე უბანს, სადაც ხდება ლითონის ჩასხმა ყალიბებში. ციცხვის გახურება ხდება ბუნებრივი აირის გამოყენებით 13 მ³/სთ, 20 დღე თვეში, დღეში 3 საათის ხანგრძლივობით. აირების გაფრქვევა ხდება ღუმელის თავზე დამონტაჟებული მილის საშუალებით, რომლის სიმაღლე შეადგენს 12 მ-ს.

სადნობი უბანი - ლითონის ჯართის გადნობა ხდება ინდუქციურ ღუმელში, რომლის წარმადობა 2 ტ თხევადი ლითონი საათში. საწვავად გამოიყენება ელექტროენერგია. მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით ნედლეულის ხარჯი 1 ტონა პროდუქციის წარმოებაზე შეადგენს 1.1 ტონას.

სადნობი ღუმელი მტვერდამჭერი სისტემით აღჭურვილი არ არის, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი აირების გაწოვა ხდება საამქროში არსებული სავენტილაციო სისტემის მეშვეობით და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 1000 მმ დიამეტრისა და 9 მ სიმაღლის საკვამლე მილის საშუალებით.

ღუმელს აქვს თავისი ბრუნვითი წყალმომარაგების გაგრილების სისტემა. ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით გაგრილების სისტემის წყლის ხარჯი შეადგენს 5 მ³/დღე-ღამეში (7 500 მ³/წელ), რაც უზრუნველყოფილი იქნება წყალმომარაგების საქალაქო ქსელის სიტემიდან ან მიწისქვეშა ჭაბურღილიდან. წყლის დამატება საჭიროა ინდუქციური ღუმელის გაგრილების დროს აორთქლებასთან დაკავშირებული დანაკარგის შესავსებად, რაც დაახლოებით შეადგენს არაუმეტეს 5 მ³-ს დღე-ღამეში. გამომდინარე აღნიშნულიდან, ღუმელის ექსპლუატაციის პროცესში, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, დნობის პროცესში 1 ტონა პროდუქციაზე გადაანგარიშებით წარმოიქმნება, დაახლოებით 30-40 კგ წიდა, რომლის დროებით განთავსება ხდება საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე და გამოიყენება საწარმოს ტერიტორიების მოპირკეთებისათვის, დაინტერესების შემთხვევაში შესაძლოა გადაეცეს სხვა კომპანიას.



საყალიბო უბანი - ამ უბანზე ხდება ყალიბების დამზადება მანქანური წესით. აწყობილი ყალიბები იდება გორგოლაჭებიან კონვეიერზე. აწყობილ ყალიბებში ჩაისხმება ლითონი და მიეწოდება გამომბურტყ მესერზე. გამომბურტყვის შემდეგ სხმულები გადადის გამწმენდ უბანზე გასაწმენდად. საყალიბო უბანს ემსახურება საყალიბე ნარევის დამამზადებელი დანადგარი-რბია, წარმადობა 6 ტ/სთ. საყალიბე ნარევი მზადდება შემდეგნაირად: ნახმარ საყალიბე ნარევს ემატება 10+12% ახალი საყალიბე ქვიშა, ბენტონიტი და წყალი საჭიროების მიხედვით.

საყალიბე ქვიშა (საჩხერის საყალიბე ქვიშა) ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება მრბენელს, სადაც ხდება ქვიშის დაქუცმაცება, ემატება ბენტონიტი, წყალი და შემდგომ ისევ ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება საყალიბე მანქანებს. საამქროში საყალიბე ქვიშის საშრობად გამოყენებულია მბრუნავი დოლი, წარმადობით 1ტ/სთ-ში. ღუმელის ფუნქციონირებისათვის გაზის ხარჯი შეადგენს 35 მ³/სთ-ს. ღუმელი დანიშნულებით გამოიყენება ქვიშაზე მოთხოვნის შესაბამისად.

ყალიბებში ჩამოსხმული სხმულები ცივდება და შემდგომ მბურტყავის საშუალებით ხდება სხმულის და საყალიბე ქვიშის განცალკევება. სხმულის საშუალო მასაა 50 კგ. მბურტყავში ერთი ყალიბის ფორმის გამომბურტყვისათვის საჭიროა 2.0 წუთი. მბურტყავი გამოიყენება საწარმოო ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად.

საკოპე უბანი - ამ უბანზე ხდება კოპების დამზადება (სხმულის შიდა სიდრუების ფორმირებისათვის). კოპების დასამზადებლად გამოიყენება ახალი საყალიბე ქვიშა და ეპოქსიდური შემკვრელი. ნარევის დამზადება ხდება ამრევში. დამზადებული კოპები თავსდება საშრობ ელექტრო ღუმელში და 250°C ტემპერატურაზე ხდება კოპების შეცხობა და იგზავნება საყალიბე უბანზე.

გამწმენდი უბანი - ამ უბანზე ხდება სხმულების გასუფთავება, სასხმოების მოტეხვა და სხმულების გაწმენდა საფანტმტყორცნ დანადგარებზე. გაწმენდისათვის გამოიყენება თუჯის საფანტი. დამონტაჟებულია ორი დანადგარი, რომელთაგან ერთის წარმადობა შეადგენს 0,7 ტ/სთ ხოლო მეორეს 1,5 ტ/სთ. ორივე დანადგარი პერიოდული მოქმედებისაა და აღჭურვილია გამწოვი სავენტილაციო სისტემით.

ამავე უბანზე განლაგებულია სახეხი დანადგარები, რომლითაც ხდება სხმულებზე ფხაურების მოცილება. დამონტაჟებულია ორი სახეხი დანადგარი, რომელთაგან ერთი სტაციონარული დანადგარი გათვალისწინებულია მცირე მოცულობის დეტალების გასაწმენდად, ხოლო მეორე დაკიდული დანადგარი დიდი მოცულობის სხმულების გაწმენდისათვის.

სხმულები საბოლოო გაწმენდის შემდეგ წარედგინება ტექნიკური კონტროლის სამსახურს შესამოწმებლად. შემოწმების შემდეგ კი იგზავნება მექანიკურ საამქროში დასამუშავებლად ან პირდაპირ მიეწოდება დამკვეთს.

სტაციონარულ სახეხ დანადგარზე მოწყობილია გამწოვი სავენტილაციო სისტემები, სახურავზე გამავალი მილის სიმაღლე შეადგენს 21.5 მ-ს.

საამქროს გააჩნია საკონტროლო ლაბორატორია, სადაც ხდება შენადნობებში ქიმიური ელემენტების განსაზღვრა ქიმიური და ფიზიკური (სპექტრული) მეთოდით.

2.3 ლითონის დამუშავების მექანიკური საამქრო

მექანიკური დამუშავების საამქროში განთავსებულია შემდეგი საწარმოო უბნები:

- მძიმე დამუშავების მექანიკური უბანი;
- მცირე დამუშავების მექანიკური უბანი;
- საწნეხე და შედუღების უბანი.

მძიმე და მცირე დამუშავების მექანიკური უბანი განთავსებულია შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ კუთვნილ შენობაში, რომელიც საჩამომსხმელო საამქროსგან განცალკევებით არის განთავსებული.

მძიმე დამუშავების მექანიკურ უბანზე წარმოებს მასიური დეტალების დამუშავება, რისთვისაც დამონტაჟებულია 195 ერთეული ჩარხი-დანადგარი, მათ შორის:

- ლითონის საჭრელი დანადგარები (გილიოტინა);
- სახარატო ჩარხები;
- წნეხები;
- სარანდავი ჩარხები;
- სახვრეტი ჩარხები;
- სახეხი ჩარხები და სხვა;

რაც შეეხება მცირე დამუშავების მექანიკურ უბანს, აქ განთავსებულია 115 ერთეული დანადგარი.

შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. იატაკი დაფარულია ბეტონის საფარით. ბუნებრივი განათება ნორმის ფარგლებშია. ვენტილაცია ხორციელდება ბუნებრივი

განიავების გზით, რაც აქ მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკის და ინტენსივობის გათვალისწინებით სრულიად საკმარისია.

საწნეხე და შედეგების უზნის დანიშნულებაა კონკრეტული დაკვეთების მიხედვით სხვადასხვა დანადგარების და მოწყობილობების დამზადება, რისთვისაც წარმოებს შემდეგი ოპერაციები:

- ფურცლოვანი ლითონის საჭირო ზომებად დაჭრა;
- ფურცლოვანი ლითონის ცივად დამუშავება;
- ელექტროშედულება;
- ღებვა;
- სხვა.

აღნიშნული ოპერაციები სრულდება უბანში გამოყოფილ ცალკეულ საწარმოო ფართებზე, სადაც დამონტაჟებულია შესაბამისი დანადგარ-მოწყობილობები.

უბანზე წლის განმავლობაში იხარჯება დაახლოებით 0,5-0,6 ტ. ელექტროდი და 60 კგ-მდე „კონაკანი“-ს ტიპის ანტიკოროზიული გრუნტის საღებავი (შეკვეთის შესაბამისად).

3 საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი

შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს სამუშაო რეჟიმია წელიწადში 365 სამუშაო დღე (მიღებული შეკვეთების მიხედვით), 5 დღიანი სამუშაო კვირა და ერთ ცვლიანი სამუშაო დღე. საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 186 კაცს, მათ შორის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობაა 33 კაცი. საწარმოში 18 წლამდე მოზარდები დასაქმებულნი არ არიან.

4 ელექტრომომარაგება

საწარმოს ელექტრომომარაგება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი წყაროდან. ელექტროენერჯის განაწილებისათვის ტერიტორიაზე მოწყობილია სატრანსფორმატორო ქვესადგური, სადაც განთავსებულია ორი ТРДН-110/10 ტიპის ტრანსფორმატორი.

ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია, დაფარულია ღორღის საფარით. მოწყობილია ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრები სისტემა, საიდანაც ზეთის შეგროვება მოხდება მიწისქვეშა რეზერვუარში. ზეთის დამატების საჭიროების შემთხვევაში მისი შემოტანა ხდება ლითონის კასრების საშუალებით.

5 წყალმომარაგება

საწარმოში წყლის გამოყენება ხდება ძირითადად სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, სადნობი ღუმელების გამაციებელი სისტემებისა და ტერიტორიის მორწყვა-მორეცხვისათვის.

საწარმოს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ქ. ქუთაისის ცენტრალური წყალსადენის ქსელიდან. მოხმარებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის აღრიცხვისათვის შემომყვან მილსადენებზე დამონტაჟებულია წყლის მრიცხველები. ტექნიკური მიზნებისათვის, ცენტრალური წყალსადენის ქსელთან ერთად გამოიყენება ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის წყალი, რაზეც კომპანიას აღებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები (იხ.დანართი).

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ტექნიკური მიზნებისათვის წყლის გამოყენება ხდება სადნობი ღუმელების გამაგრებელი სისტემების ფუნქციონირებისათვის, რომლისთვისაც წყლის მიწოდება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან. არსებული ყველა ღუმელის მუშაობის შემთხვევაში მათი გაგრძელების სისტემებიდან წყლის დანაკარგი დღე-ღამეში ჯამურად შეადგენს 20 მ³-ს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დღეის მდგომარეობით მუშაობს მხოლოდ ახალი ინდუსტრიული ღუმელი, მისი სისტემიდან წყლის დანაკარგი დღე-ღამეში შეადგენს მხოლოდ 5 მ³-ს.

6 ჩამდინარე წყლები

შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში და საწარმოო ობიექტებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები (3 325 მ³/წ) ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში, რაზედაც შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში ტექნიკური წყლის გამოყენება ხდება სადნობი ღუმელის გამაგრებელ სისტემაში, რომელიც წარმოადგენს დახურულ სისტემას და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. სხვა ტექნიკური მიზნებისათვის საწარმოში წყალი არ გამოიყენება და შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება.


საწარმოს ტერიტორიიდან ატმოსფერული წყლების არინება ხდება ყოფილი ავტოქარხნის სანიაღვრე საკანალიზაციო კოლექტორის საშუალებით, რომელიც მოიცავს ყოფილი ქარხნის მთლიან 134 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიას (იხილეთ ნახაზი). დღეისათვის შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ მიერ დაკავებულია მხოლოდ 37,5 ჰა ფართობის ტერიტორია, ხოლო დანარჩენზე ფუნქციონირებს სხვა კომპანიების საწარმოო ობიექტები. როგორც ნახაზზეა მოცემული, შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ საწარმოო ობიექტები განლაგებულია საერთო ტერიტორიის სხვადასხვა წერტილში ისე, რომ სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის განმხოლოების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არის.

გამომდინარე აღნიშნულიდან ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ატმოსფერული წყლების ჩადინება სხვადასხვა წერტილებში ხდება საერთო სანიაღვრე კანალიზაციის კოლექტორში და შემდგომ ტერიტორიის გარეთ ჩადინება მდ. ოდასკურაში. ჩაშვების წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია X= 0301629, Y=4681179.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოში მიმდინარე და დაგეგმილი ყველა სახის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს. გამომდინარე აქედან, შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნის“ ტერიტორიიდან საერთო საკანალიზაციო კოლექტორში ჩადინება პრაქტიკულად სუფთა წყალი, რომელიც გაწმენდას არ საჭიროებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე მოწყობილია ე.წ. საკონტროლო ჭა, სადაც კვარტალში ერთხელ ხდება სანიაღვრე წყლების სინჯების აღება და მათი ლაბორატორიული კვლევის შედეგები 6 თვეში ერთხელ წარედგინება სამინისტროს.

ყოფილი ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის ტერიტორიის
სანიაღვრე ჩამდინარე წყლების კნალიზაციის სქემა



7 დაგეგმილი ცვლილებების მოკლე აღწერა

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს არსებული 9 მ სიმაღლისა და 1000 მმ დიამეტრის მილის შეცვლას 16 მ სიგრძისა (მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 25 მ) და 700 მმ დიამეტრის მილით, ასევე სავენტილაციო სისტემების განახლებას.

აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №192 დადგენილებით, ზოგიერთ საწარმოს დაევალა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა, ინსტრუმენტული მეთოდით.

აღნიშნული მიზნებისთვის, მპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-მ მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრის მიზნებისთვის, კომპანია «SENSÖRLER VE İLERİ CİHAZLAR KONTROL A.Ş.»-სგან შეიძინა DUSTHUNTER T200 – Max -ს მოწყობილობა. აღნიშნული მოწყობილობის მონტაჟისა და შემდგომში მისი ეფექტური მუშაობისთვის საჭირო გახდა მილის პარამეტრების შეცვლა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საწარმო მუდმივად იცავს სამინისტროსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით“ დადგენილ პარამეტრებს, უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი ცვლილება (მაგ: გაფრქვევის მილის სიმაღლის გაზრდა) წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომელიც განხორციელების შედეგად დადებით გავლენას იქონიებს ატმოსფერულ ჰაერზე.

8 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ანგარიში

8.1 ცვლილებების განხორციელების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებათა ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან გამომდინარე, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია ბრინჯაოს, თუჯის და ფოლადის დნობისას, როგორც ელექტრო, ასევე გაზის ღუმელებიდან. **თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს მხოლოდ ინდუქციური ღუმელი, რომლის წარმადობაა 2,6 ტ/სთ-ში. მოცემული ღუმელი მუშაობს ელექტრო ენერგიაზე და შესაბამისად, დნობის პროცესში ბუნებრივი აირის გამოყენება არ ხდება. დანარჩენი ღუმელები გაჩერებულია და უახლოეს პერიოდში მათი ექსპლუატაცია არ იგეგმება.**

ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, გაფრქვევები მოსალოდნელია გამომბერტყი დანადგარიდან, ლენტური კონვეიერიდან, საფანტმტყორცნი დანადგარიდან, მრბენელიდან, ციცხვის გახურების და საწრთობი კამერული ღუმელიდან, სახერხი დანადგარებიდან, სადაც ხდება სხმულებიდან ფხაურების მოცილება. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ასევე ითვალისწინებს შედუღებითი და სამღებრო სამუშაოების განხორციელებას, საიდანაც ასევე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევები. აღნიშნული გაფრქვევები წარმოადგენენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის სტაციონარულ წყაროებს.

ქარხნის გაფრქვევის წყაროებია:

- ბოვი (გ-1),
- ინდუქციური ღუმელი 2ტ (გ-2),
- ინდუქციური ღუმელი 0,15ტ.(გ-3),
- საწრთობი ღუმელი(გ-4),
- ციცხვის ღუმელი(გ-5),
- გამომბერტყი მესერი(გ-6),
- მრბენელი(გ-7),
- ქვიშის საშრობი დოლი(გ-8),
- დიდი საფანტმტყორცნი(გ-9),
- სტაციონარული სახეხი დანადგარი(გ-10),
- ჩამოსაკიდი სახეხი დანადგარი(გ-11),
- ლენტური კონვეიერი(გ-12),
- პატარა საფანტმტყორცნი(გ-13),
- შედუღების პოსტი(გ-14),
- სამღებრო პოსტი(გ-15),
- ელექტრორკალური ღუმელი (გ-16)

ემისიის გაანგარიშება ბოვიდან (გ-1)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის № 435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები თუჯის სადნობი ბოვის ტიპის ღუმელიდან გაანგარიშებულია მითითებული დადგენილების შესაბამისად (დანართები 45 და 53).

აღნიშნული ღუმელის წარმადობა შეადგენს 3ტ/სთ, ხოლო წლიური მუშაობის ხანგრძლივობა დანადგარისა შეადგენს დღეში 10 სთ, წელიწადში 120 დღის განმავლობაში, შესაბამისად საათების წლიური რაოდენობა იქნება 10სთ/დღ × 120დღ/წელ =1200სთ/წელ.

ცხრილი 1. ემისიის პარამეტრები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	20	3	16,67	72
ნახშირბადის ოქსიდი	200	3	166,67	720
გოგირდის დიოქსიდი	1,5	3	1,25	5,4
ნაჯერი ნახშირწყალბადები	2,6	3	2,167	9,36
აზოტის დიოქსიდები	0,014	3	0,0117	0,0504

ცხრილი 2. ემისიის პარამეტრები

მძიმე მეტალები				
ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა გ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
ტყვია	0,0006	3	0,0000005	0,00000216
კადმიუმი	—	3	—	—
ვერცხლისწყალი	0,0001	3	8,33333E-08	0,00000036
დარიშხანი	—	3	—	—
ქრომი	0,0003	3	0,00000025	0,00000108
სპილენძი	0,015	3	0,0000125	0,000054
ნიკელი	—	3	—	—
სელენი	—	3	—	—
თუთია	0,073	3	6,08333E-05	0,0002628

მეთოდური მითითების [11] თანახმად საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ბოვის აირის ნაკადის მოცულობა შეადგენს 39000მ³/სთ. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნამწვი აირის ნაკადის მოცულობა იქნება:

მილის დიამეტრი D = 1,1მ.

გამომავალი ნამწვი აირის ნაკადის ტემპერატურა 240 C⁰

ნამწვი აირების მოცულობის კორექტირების კოეფიციენტი ტემპერატურის მიხედვით (273+240)÷273 = 1,89

ბოვის ღუმელის ნამწვი აირები მუშა პირობებში კორექტირდება ფიზიკური და ნორმალური პირობების გათვალისწინებით 39000მ³/სთ × 1,89 = 73710მ³/სთ.

73710მ³/სთ ÷ 3600 = 20,475მ³/წმ.

მოცულობითი ხარჯი. W_o = 20,475 მ³/წმ.

ჰაერის ნაკადის სიჩქარე. V = 20,475 ÷ (1,1² × 0,785) = 21,56 მ/წმ.

ემისიის გაანგარიშება ინდუქციური ღუმელიდან (2 ტ) (გ-2)

გაანგარიშება შესრულებულია მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ფოლადის, თუჯის და ფერადი ლითონების სადნობი ინდუქციური ტიპის ღუმელიდან გაანგარიშებულია მითითებული დადგენილების შესაბამისად (დანართები 46 და 54). აღნიშნული ღუმელის წარმადობა შეადგენს 2,6 ტ/სთ, ხოლო წლიური მუშაობის ხანგრძლივობა დანადგარისა შეადგენს დღეში 8სთ, წელიწადში 240 დღის

განმავლობაში, შესაბამისად საათების წლიური რაოდენობა იქნება 8 სთ/დღ × 240 დღ/წელ = 1920 სთ/წელ.

დაგეგმილი ცვლილება ითვალისწინებს ღუმელზე 0,7 მ დიამეტრის გაფრქვევის მილის მონტაჟს.

ღუმელის ვენტილატორების სიმძლავრის (2 ერთეული×3700 ნმ³/სთ=7400 ნმ³/სთ) და ზემოაღნიშნული მაკორექტირებელი კოეფიციენტის გათვალისწინებით, აირჰაერის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იქნება: $W_i=7400 \text{ ნმ}^3/\text{სთ} \times 1,89=13 \text{ 986 მ}^3/\text{სთ}=3,89 \text{ მ}^3/\text{წმ}$

დიამეტრის გათვალისწინებით, ჰაერის ნაკადის სიჩქარე. $V = 10,11 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

ცხრილი 3. ემისიის პარამეტრები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	1,5	2,6	1,083	7,488
მძიმე მეტალები				
ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა გ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
ტყვია	4	2,6	0,002888889	0,01248
კადმიუმი	0,067	2,6	4,83889E-05	0,00020904
ვერცხლისწყალი	0,0014	2,6	1,01111E-06	0,000004368
დარიშხანი	0,4	2,6	0,000288889	0,001248
ქრომი	2,3	2,6	0,001661111	0,007176
სპილენძი	0,02	2,6	1,44444E-05	0,0000624
ნიკელი	0,13	2,6	9,38889E-05	0,0004056
სელენი	0,003	2,6	2,16667E-06	0,00000936
თუთია	4	2,6	0,002888889	0,01248

შენიშვნა: დადგენილების შესაბამისად ინდუქციური ტიპის ღუმელებში თუჯის დნობისას გამოყოფილი მტვრის ხვედრითი მაჩვენებელი შეადგენს 1.5 კგ/ტ-ზე. აიროვანი მავნე ნივთიერებების გამოყოფის რაოდენობა უმნიშვნელოა.

ემისიის გაანგარიშება ინდუქციური ღუმელიდან (0,15 ტ) (გ-3)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ფოლადის, თუჯის და ფერადი ლითონების სადნობი ინდუქციური ტიპის ღუმელიდან გაანგარიშებულია მითითებული დადგენილების შესაბამისად (დანართები 46 და 52). აღნიშნული ღუმელის წარმადობა შეადგენს 0,04 ტ/სთ, ხოლო წლიური ხანგრძლივობა დანადგარისა შეადგენს დღეში 8 სთ, წელიწადში 240 დღის განმავლობაში, შესაბამისად საათების წლიური რაოდენობა იქნება 8 სთ/დღ × 240 დღ/წელ = 1920 სთ/წელ.

ცხრილი 4. ემისიის პარამეტრები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	1,2	0,04	0,013	0,09216
ნახშირბადის დიოქსიდი	0,65	0,04	0,0072	0,04992
აზოტის დიოქსიდი	0,45	0,04	0,005	0,03456
მძიმე მეტალები				
ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა გ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
ტყვია	4	0,15	0,000166667	0,00072
კადმიუმი	0,067	0,15	2,79167E-06	0,00001206
ვერცხლისწყალი	0,0014	0,15	5,83333E-08	0,000000252
დარიშხანი	0,4	0,15	1,66667E-05	0,000072
ქრომი	2,3	0,15	9,58333E-05	0,000414
სპილენძი	0,02	0,15	8,33333E-07	0,0000036
ნიკელი	0,13	0,15	5,41667E-06	0,0000234
სელენი	0,003	0,15	0,000000125	0,00000054
თუთია	4	0,15	0,000166667	0,00072

[12] რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით (გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:
არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 0,013 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,0052 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 0,09216 \times 0,4 = 0,03686 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება საწრთობი კამერული ღუმელიდან (გ-4)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 107), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ბუნებრივი აირის საწვავის წვის შემთხვევაში: აზოტის დიოქსიდი-0,0036, ნახშირბადის დიოქსიდი-0,0089 და ნახშირორჟანგი-2,0).

უნდა აღინიშნოს რომ, საწრთობი კამერული ღუმელის ფუნქციონირებისას მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა შეადგენს 518,4 ათასი მ³/წელ. არსებული დადგენილების გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

აზოტის დიოქსიდი 301
 $518,4 \text{ მ}^3 \times 0,0036 = 1,8662 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირბადის დიოქსიდი 337
 $518,4 \text{ მ}^3 \times 0,0089 = 4,6137 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირორჟანგი000

$518,4 \text{ მ}^3 \times 2,0 = 1036,8 \text{ ტ/წელ.}$

აზოტისდიოქსიდი301

$1,8662 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 2880 \text{ სთ/წელ} = 0,1799 \text{ გ/წმ.}$

ნახშირბადისოქსიდი337

$4,6137 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 2880 \text{ სთ/წელ} = 0,4449 \text{ გ/წმ.}$

ნახშირორჟანგი000

$1036,8 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 2880 \text{ სთ/წელ} = 100 \text{ გ/წმ.}$

ცხრილი 5. გაანგარიშებული ემისია

კოდი	ნივთიერების დასახელება	მასა (გ/წმ)	მასა (ტ/წელ)
301	აზოტის დიოქსიდი	0,1799	1,8662
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,4449	4,6137
_	ნახშირორჟანგი	100	1036,8

ემისიის გაანგარიშება ციცხვის გახურების დანადგარიდან (გ-5)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 107), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ბუნებრივი აირის საწვავის წვის შემთხვევაში: აზოტის დიოქსიდი-0,0036, ნახშირბადის ოქსიდი-0,0089 და ნახშირორჟანგი-2,0).

უნდა აღინიშნოს რომ, ციცხვის გახურების პროცესში მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა შეადგენს 9,4 ათ.მ³/წელ. არსებული დადგენილების გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

აზოტისდიოქსიდი301

$9,4 \text{ მ}^3 \times 0,0036 = 0,03384 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირბადისოქსიდი337

$9,4 \text{ მ}^3 \times 0,0089 = 0,08366 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირორჟანგი000

$9,4 \text{ მ}^3 \times 2,0 = 18,8 \text{ ტ/წელ.}$

აზოტისდიოქსიდი301

$0,03384 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 720 \text{ სთ/წელ} = 0,01305 \text{ გ/წმ.}$

ნახშირბადისოქსიდი337

$0,08366 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 720 \text{ სთ/წელ} = 0,0322 \text{ გ/წმ.}$

ნახშირორჟანგი000

$18,8 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 720 \text{ სთ/წელ} = 7,253 \text{ გ/წმ.}$

ცხრილი 6. გაანგარიშებული ემისია

კოდი	ნივთიერების დასახელება	მასა (გ/წმ)	მასა (ტ/წელ)
301	აზოტის დიოქსიდი	0,01305	0,03384
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,0322	0,08366
000	ნახშირორჟანგი	7,253	18,8

ემისიის გაანგარიშება გამობერტყვიდან (მესერი) (გ-6)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 66), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია საყალიბე ფორმათა მოცილების პროცესიდან შეადგენს:

ცხრილი 7. გაანგარიშებული ემისია

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	4,8	1,5	2	1,728
ნახშირბადის ოქსიდი	1,0	1,5	0,417	0,36
აზოტის დიოქსიდები	0,2	1,5	0,084	0,072
ამიაკი	0,3	1,5	0,125	0,108

შენიშვნა: ერთი ყალიბის დაბერტყვას სჭირდება 2 წთ, 1 სთ-ში შესაძლებელია 30 ყალიბის დაბერტყვა. ერთი სხმულის მასა ≈ 50 კგ. წარმადობა $30 \times 0,05 = 1,5$ ტ/სთ. წლიური სამუშაო საათები აღნიშნული პროცესისა შეადგენს 240 სთ/წელ.

[12]რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:
არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 2 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,8 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 1,728 \text{ ტ/წელ} \times 0,4 = 0,6912 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება მრბენელიდან (რბია) (გ-7)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 64), არის ემისიის საანგარიშო კოეფიციენტი საყალიბე ფორმათა დამზადების (რბია) პროცესიდან 1 კგ/ტ-ზე, ხოლო წლიური ხანგრძლივობა დანადგარისა შეადგენს დღეში 8სთ, წელიწადში 240დღის განმავლობაში, შესაბამისად საათების წლიური რაოდენობა იქნება 8სთ/დღ \times 240დღ/წელ = 1920სთ/წელ.

ცხრილი 8. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	1,0	6	1,667	11,52

[12]რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:
არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 1,667 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,6677 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 11,52 \text{ ტ/წელ} \times 0,4 = 4,608 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება ქვიშის საშრობი დოლიდან (გ-8)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 64 და 107), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ქვიშის საშრობი დოლიდან ბუნებრივი აირის საწვავის გამოყენებისას მოცემულია ცხრილში. დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობა მიღებულია 480 სთ წლის განმავლობაში.

ცხრილი 9. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	2,1	1	0,584	1,008

[12]რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

ემისიის კორექტირებისას გაანგარიშებული მრავლდება 0,4 კოეფიციენტზე:
 არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 0,584 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,2336 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 1,008 \text{ ტ/წელ} \times 0,4 = 0,4032 \text{ ტ/წელ.}$$

დადგენილების მიხედვით (დანართი 107), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ბუნებრივი აირის საწვავის წვის შემთხვევაში: აზოტის დიოქსიდი-0,0036, ნახშირბადის ოქსიდი-0,0089 და ნახშირორჟანგი-2,0)

მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა შეადგენს 16,8 ათ.მ³/წელ.
 არსებული დადგენილების გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

აზოტისდიოქსიდი301
 $16,8 \text{ მ}^3 \times 0,0036 = 0,06048 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირბადისოქსიდი337
 $16,8 \text{ მ}^3 \times 0,0089 = 0,14952 \text{ ტ/წელ.}$

ნახშირორჟანგი000
 $16,8 \text{ მ}^3 \times 2,0 = 33,6 \text{ ტ/წელ.}$

აზოტისდიოქსიდი301
 $0,06048 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 480 \text{ სთ/წელ} = 0,035 \text{ გ/წმ.}$

ნახშირბადისოქსიდი337
 $0,14952 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 480 \text{ სთ/წელ} = 0,08653 \text{ გ/წმ.}$

ნახშირორჟანგი000
 $33,6 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 480 \text{ სთ/წელ} = 19,45 \text{ გ/წმ.}$

ცხრილი 10. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, მ ³ /სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
აზოტის დიოქსიდი	0,0036	35	0,035	0,06048
ნახშირბადის ოქსიდი	0,0089	35	0,08653	0,14952
ნახშირორჟანგი	2,0	35	19,45	33,6

ცხრილი 11. სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

ნივთიერება	კოდი	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
აზოტის დიოქსიდი	301	0,035	0,06048
ნახშირბადის ოქსიდი	337	0,08653	0,14952
შეწონილი ნაწილაკები	2902	0,2336	0,4032
ნახშირორჟანგი	000	19,45	33,6

ემისიის გაანგარიშება დიდი საფანტმტყორცნიდან (გ-9)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 61), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ველბრეიტორით (საფანტმტყორცნი დიდი 1,5 ტ/სთ წარმადობით) სხმულების გასუფთავების პროცესიდან მოცემულია ცხრილში. დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობა მიღებულია 1200 სთ წლის განმავლობაში.

ცხრილი 12. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	9,3	1,5	3,875	16,74

დანადგარის გამწმენდი მოწყობილობის (ციკლონი) 70% ეფექტურობის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იქნება შემდეგი:

$$M_{2902} = 3,875 \text{ გ/წმ} \times (1-0,7) = 1,1625 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 1,1625 \text{ გ/წმ} \times 10^{-6} \times 1200 \text{ სთ/წელ} \times 3600 = 5,022 \text{ ტ/წელ.}$$

მეთოდური მითითების [11] თანახმად საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით საფანტმტყორცნის აირის ნაკადის მოცულობა შეადგენს 8000მ³/სთ. შესაბამისად 2,23 მ³/წმ. გამომდინარე აქედან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული აირის ნაკადის მოცულობა და სიჩქარე იქნება:

მილის დიამეტრი $D = 0,4\text{მ}$. მოცულობითი ხარჯი $W_0 = 2,23 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

ჰაერის ნაკადის სიჩქარე $V = 2,23 \div (0,4^2 \times 0,785) = 17,75 \text{ მ/წმ}$.

ემისიის გაანგარიშება სტაციონარული სახეხი დანადგარიდან (გ-10)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 61), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია სტაციონარული სახეხი დანადგარიდან სხმულების გასუფთავების პროცესისას მოცემულია ცხრილში. დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობა მიღებულია 1680 სთ წლის განმავლობაში.

ცხრილი 13. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კვ/სთ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	1,0	-	0,278	1,68

დანადგარის გამწმენდი მოწყობილობის (ციკლონი) 70% ეფექტურობის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იქნება შემდეგი:

$$M_{2902} = 0,278 \text{ გ/წმ} \times (1-0,7) = 0,0834 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 0,0834 \text{ გ/წმ} \times 10^{-6} \times 1680 \text{ სთ/წელ} \times 3600 = 0,504 \text{ ტ/წელ.}$$

მეთოდური მითითების [11] თანახმად საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით სახეხი დანადგარის აირის ნაკადის მოცულობა შეადგენს 4700 მ³/სთ. შესაბამისად, 1,31 მ³/წმ. გამომდინარე აქედან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული აირის ნაკადის მოცულობა და სიჩქარე იქნება:

მილის დიამეტრი $D = 0,3 \text{ მ.}$ მოცულობითი

ხარჯი $W_0 = 1,31 \text{ მ}^3/\text{წმ.}$

ჰაერის ნაკადის სიჩქარე $V = 1,31 \div (0,3^2 \times 0,785) = 18,5 \text{ მ/წმ.}$

ემისიის გაანგარიშება ჩამოსაკიდი სახეხი დანადგარიდან (გ-11)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის №435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 61), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტები ჩამოსაკიდი სახეხი დანადგარიდან სხმულების გასუფთავების პროცესისას მოცემულია ცხრილში. დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობა მიღებულია 1680 სთ წლის განმავლობაში.

ცხრილი 14. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კვ/სთ	წარმადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	0,3	-	0,083	0,504

[12] რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით (გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 0,083 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,0332 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 0,504 \text{ ტ/წელ} \times 0,4 = 0,2016 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება ლენტური კონვეიერიდან (გ-12)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8] ტრანსპორტირება

ხორციელდება ღია კონვეიერული ლენტების საშუალებით, სიგანით-1მ.

საერთო სიგრძე შეადგენს 40 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეები შეადგენს, მ/წმ: 0,5 ($K_3 = 1$); 9,6 ($K_3 = 1,7$). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 3,45 ($K_3 = 1,2$).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 15.

ცხრილი 15. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0,0214906	0,0917472

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 16.

ცხრილი 16. ემისიის მაჩვენებლები

მასალა	პარამეტრები
ქვიშა	მუშაობის დრო-1680 სთ/წელ; ტენიანობა 10%-მდე. (K5 = 0,1). ნაწილაკების ზომა-5-3 მმ. (K7 = 0,7). კუთრი ამტვერება- 0,0000045 კგ/მ ² *წმ.

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = 3,6 \cdot K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot T, \text{ ტ/წელ;}$$

სადაც:

K₃ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

K₅ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

W_K - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ²*წმ;

L - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

l - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

γ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

T - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისიარომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M'_K = K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot 10^3, \text{ გ/წმ;}$$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ქვიშა

$$M'_{2902}{}^{0,5} \text{ გ/წმ} = 1 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 40 \cdot 1 \cdot 0,7 \cdot 10^3 = 0,0126415 \text{ გ/წმ;}$$

$$M'_{2902}{}^{9,6} \text{ გ/წმ} = 1,7 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 40 \cdot 1 \cdot 0,7 \cdot 10^3 = 0,0214906 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{2902} = 3,6 \cdot 1,2 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 40 \cdot 1 \cdot 0,7 \cdot 1680 = 0,0917472 \text{ ტ/წელ.}$$

[12] რეკომენდაციის თანახმად, გვ.(59) ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც ხორციელდება შეწონილი ნივთიერებების გამოყოფით ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთო მიმოცვლითი ვენტილაციით(გაფრქვევა ფანჯრის ან კარების გასასვლელიდან), ან გამწოვი სისტემის არ არსებობისას, მყარი კომპონენტების გაფრქვევის გაანგარიშებისას ატმოსფერულ ჰაერში, მიზანშეწონილია მავნე ნივთიერებების გამოყოფის გაანგარიშების მაჩვენებლის კორექტირება კოეფიციენტით - 0,4

არაორგანული მტვერი:

$$M_{2902} = 0,0214906 \times 0,4 = 0,00859 \text{ გ/წმ;}$$

$$G_{2902} = 0,0917472 \times 0,4 = 0,03669 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება პატარა საფანტმტყორცნიდან (გ-13)

გაანგარიშება შესრულებულია მეთოდური მითითების [7] თანახმად, საქართველოს მთავრობის

№435, 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილების მიხედვით (დანართი 61), ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია ველებრეიტორით (საფანტმტყორცნი პატარა 0,7ტ/სთ წარმადობით) სხმულების გასუფთავების პროცესიდან მოცემულია ცხრილში. დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობა მიღებულია 1200 სთ წლის განმავლობაში.

ცხრილი 17. ემისიის მაჩვენებლები

ნივთიერება	ხვედრითი გამოყოფა კგ/ტ	მადობა, ტ/სთ	ემისია (გ/წმ)	ემისია (ტ/წელ)
შეწონილი ნაწილაკები	9,3	0,7	1,809	7,812

დანადგარის გამწმენდი მოწყობილობის (ციკლონი) 70% ეფექტურობის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იქნება შემდეგი:

$$M_{2902} = 1,809 \text{ გ/წმ} \times (1-0,7) = 0,5425 \text{ გ/წმ}$$

$$G_{2902} = 0,5425 \text{ გ/წმ} \times 10^{-6} \times 1200 \text{ სთ/წელ} \times 3600 = 2,3436 \text{ ტ/წელ.}$$

საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით საფანტმტყორცნის აირის ნაკადის მოცულობა შეადგენს 8000მ³/სთ. შესაბამისად 2,23მ³/წმ. გამომდინარე აქედან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული აირის ნაკადის მოცულობა და სიჩქარე იქნება:

მილის დიამეტრი $D = 0,35 \text{ მ.}$ მოცულობითი

ხარჯი $W_0 = 2,23 \text{ მ}^3/\text{წმ.}$

ჰაერის ნაკადის სიჩქარე $V = 2,23 \div (0,35^2 \times 0,785) = 23,18 \text{ მ/წმ.}$

ემისიის გაანგარიშება ელ-შედულების პოსტიდან (გ-14)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [9]-ს შესაბამისად. შედულების პროცესში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის (ემისიის) განსაზღვრისათვის გამოიყენება საანგარიშო მეთოდები დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი გამოყოფის (გამოყენებული ელექტროდის ერთეულ მასაზე გადაანგარიშებით) დახმარებით.

შედულების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შედულების აეროზოლი, მეტალის ოქსიდები და აგრეთვე აირადი შენაერთები, რომელთა რაოდენობრივი მახასიათებლები დამოკიდებულია ელექტროდების შემადგენლობაში არსებულ ელემენტებზე.

ცხრილში 18. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

კოდი	დამაბინძურებელი ნივთიერება დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
123	რკინის ოქსიდი	0,0005048	0,48849
143	მანგანუმი და მისი ნაერთები	0,0000434	0,0420403
301	აზოტის დიოქსიდი	0,0001417	0,137088
304	აზოტის ოქსიდი	0,000023	0,0222768
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,0015701	1,519392
342	აირადი ფტორიდები	0,0000885	0,08568
344	ძნელად ხსნადი ფტორიდები	0,0001558	0,1507968
2902	შეწონილი ნაწილაკები	0,0000661	0,0639744

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 19.

ცხრილი 19. საწყისი საანგარიშო მაჩვენებლები

დასახე ლება	საანგარიშო პარამეტრი		
	მახასიათებლები, აღნიშვნა	ერთეუ ლი	მნიშვნელო ბა
ელექტრო რკალური შედუღება ერთეულოვანი ელექტროდებით			
	დამაბინძურებელ ნივთიერებათა ("x") გამოყოფის კუთრი მაჩვენებლები სახარჯი მასალის ერთეულ მასაზე K^x_m :		
123	რკინის ოქსიდი	გ/კგ	10,69
143	მანგანუმი და მისი ნაერთები	გ/კგ	0,92
301	აზოტის დიოქსიდი	გ/კგ	1,2
304	აზოტის ოქსიდი	გ/კგ	0,195
337	ნახშირბადის ოქსიდი	გ/კგ	13,3
342	აირადი ფტორიდები	გ/კგ	0,75
344	მწვანად ხსნადი ფტორიდები	გ/კგ	3,3
2902	შეწონილი ნაწილაკები	გ/კგ	1,4
	ერთი გამოყენებული ელექტროდის ნარჩენის ნორმატივი, n_o	%	15
	გამოყენებული ელექტროდის წლიური ხარჯი, B''	კგ	134400
	გამოყენებული ელექტროდის ხარჯი ინტენსიური მუშაობისას, B'	კგ	1
	ინტენსიური მუშაობის დრო, τ	სთ	2
	მუშაობის ერთდროულობა	-	30
	დალექვის კოეფიციენტი K_{II} ერთეულებში გამოხატული		
123	რკინის ოქსიდი	-	0,4
143	მანგანუმი და მისი ნაერთები	-	0,4
344	მწვანად ხსნადი ფტორიდები	-	0,4
2908	არაორგანული მტვერი(70-20% SiO ₂)	-	0,4
	მტვრის წილი, წარმოქმნილი შენობა-ნაგებობაში V_{II} ერთეულებში გამოხატული		
123	რკინის ოქსიდი	-	1
143	მანგანუმი და მისი ნაერთები	-	1
344	მწვანად ხსნადი ფტორიდები	-	1
2902	შეწონილი ნაწილაკები	-	1
	მუშაობის ერთდროულობა	-	არა

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა რ-ბა, რომლებიც გამოიყოფა ატმოსფერულ ჰაერში ელექტროდებით შედუღების პროცესში, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{bi} = B \cdot K^x_m \cdot (1 - n_o / 100) \cdot 10^{-3}, \text{ კგ/სთ}$$

სადაც B - ელექტროდების ხარჯი, (კგ/სთ);

